ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს ალტა სოფთვეარი

პერიოდი: 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member

PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7
სრული შემოსავლის ანგარიშგება 8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები 11
1. ძირითადი საქმიანობა 11
2. მომზადების საფუძველი 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება 12
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები 18
5. ძირითადი საშუალებები 20
6. არამატერიალური აქტივები 21
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 21
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 21
9. გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა 22
10. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან 22
11. თვითღირებულების ხარჯები 22
12. ადმინისტრაციული ხარჯები 22
13. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 23
14. სხვა არასაოპერაციო ხარჯები 23
15. პირობითი ვალდებულებები 23
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 24
17. კაპიტალის მართვა 25
18. ფუნქციონირებადი საწარმო 25
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 25
20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება 25

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ალტა სოფთვეარი “-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის “-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 26 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი გრიგოლ ნიკოლაიშვილი	მთავარი ბუღალტერი სერგო წოწონავა
26 სექტემბერი, 2023 *თბილისი, საქართველო*	26 სექტემბერი, *2023* *თბილისი, საქართველო*

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ალტა სოფთვეარი “-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის “-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 26 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი გრიგოლ ნიკოლაიშვილი	მთავარი ბუღალტერი სერგო წოწონავა
26 სექტემბერი, 2023 *თბილისი, საქართველო*	26 სექტემბერი, *2023* *თბილისი, საქართველო*

შპს "ალტა სოფთვეარი" ALTA SOFTWARE LLC GEORGIA 211380708

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ალტა სოფთვეარი"-ს დამფუძნებლებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ალტა სოფთვეარი"-ს (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლებისთვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" -ს შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფის და კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილი შესაბამისი ციფრობრივი მონაცემები, გარდა იმ კორექტირებებისა რაც "მე-4 შენიშვნის შესადარის ინფორმაციაშია" აღწერილი, ეყრდნობა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, რომელთა მიხედვითაც გადაანგარიშებები მოხდა 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ჩვენი აზრით, ამგვარი კორექტირებები მართებულია და სათანადოდ არის გამოყენებული.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ ჩვენ და გამოვთქვით უპირობო მოსაზრება 2022 წლის 29 ივლისს.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობაა აგრეთვე პასუხისმგებელი ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის და ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე მმართველი პარტნიორი 2023 წლის 26 სექტემბერი	თამილა ჩაგელიშვილი რეგისტრირებული აუდიტორი

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე მმართველი პარტნიორი 2023 წლის 26 სექტემბერი	თამილა ჩაგელიშვილი რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები	-	-	-
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**5**	1,006,656	1,060,552
არამატერიალური აქტივები	**6**	1,086,125	1,329,539
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,092,781**	**2,390,091**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		148,802	75,186
გაცემული ავანსები		164,843	2,121
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**7**	801,669	1,680,468
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**8**	7,309,387	11,387,487
სულ მოკლევადიანი აქტივები		**8,424,701**	**13,145,262**
სულ აქტივები		**10,517,482**	**15,535,353**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	-		
საწესდებო კაპიტალი		500,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		9,602,824	14,634,255
სულ კაპიტალი		**10,102,824**	**15,134,255**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	**9**	188,552	352,273
მიღებული ავანსები		214,735	38,249
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**10**	11,371	10,576
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**414,658**	**401,098**
სულ ვალდებულებები		**414,658**	**401,098**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10,517,482**	**15,535,353**

_____ _____

დირექტორი
გრიგოლ ნიკოლაიშვილი

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
სერგო წოწონავა

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები	-	-	-
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,006,656	1,060,552
არამატერიალური აქტივები	6	1,086,125	1,329,539
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,092,781**	**2,390,091**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		148,802	75,186
გაცემული ავანსები		164,843	2,121
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	801,669	1,680,468
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	7,309,387	11,387,487
სულ მოკლევადიანი აქტივები		**8,424,701**	**13,145,262**
სულ აქტივები		**10,517,482**	**15,535,353**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	-		
საწესდებო კაპიტალი		500,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		9,602,824	14,634,255
სულ კაპიტალი		**10,102,824**	**15,134,255**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9	188,552	352,273
მიღებული ავანსები		214,735	38,249
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	11,371	10,576
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**414,658**	**401,098**
სულ ვალდებულებები		**414,658**	**401,098**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10,517,482**	**15,535,353**

დირექტორი
გრიგოლ ნიკოლაიშვილი

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
სერგო წოწონავა

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	**10**	10,894,009	15,670,868
თვითღირებულების ხარჯები	**11**	(575,036)	(464,283)
საერთო მოგება		**10,318,973**	**15,206,585**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,083	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(12,211)	(1,416)
ადმინისტრაციული ხარჯები	**12**	(6,053,025)	(5,779,201)
საოპერაციო მოგება		**4,257,820**	**9,425,968**
ფინანსური შემოსავალი		156,712	235,182
ფინანსური ხარჯები		(2)	-
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)		(1,030,338)	(572,512)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	**13**	157,170	78,837
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	**14**	(27,901)	(29,466)
მოგება დაბეგვრამდე		**3,513,461**	**9,138,009**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,281,734)	(928,793)
წმინდა მოგება		**2,231,727**	**8,209,216**

_____

დირექტორი
გრიგოლ ნიკოლაიშვილი

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

_____

მთავარი ბუღალტერი
სერგო წოწონავა

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	10	10,894,009	15,670,868
თვითღირებულების ხარჯები	11	(575,036)	(464,283)
საერთო მოგება		**10,318,973**	**15,206,585**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,083	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(12,211)	(1,416)
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(6,053,025)	(5,779,201)
საოპერაციო მოგება		**4,257,820**	**9,425,968**
ფინანსური შემოსავალი		156,712	235,182
ფინანსური ხარჯები		(2)	-
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)		(1,030,338)	(572,512)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13	157,170	78,837
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	14	(27,901)	(29,466)
მოგება დაბეგვრამდე		**3,513,461**	**9,138,009**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,281,734)	(928,793)
წმინდა მოგება		**2,231,727**	**8,209,216**

დირექტორი
გრიგოლ ნიკოლაიშვილი

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
სერგო წოწონავა

26 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11,688,197**	**500,000**	**12,188,197**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	8,209,216	-	**8,209,216**
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	**8,209,216**	**-**	**8,209,216**
დივიდენდის გამოცხადება	(5,263,158)	-	**(5,263,158)**
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	**(5,263,158)**	**-**	**(5,263,158)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,634,255**	**500,000**	**15,134,255**
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	2,231,727	-	**2,231,727**
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	**2,231,727**	**-**	**2,231,727**
დივიდენდის გამოცხადება	(7,263,158)	-	**(7,263,158)**
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	**(7,263,158)**	**-**	**(7,263,158)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,602,824**	**500,000**	**10,102,824**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	2,231,727	8,209,216
კორექტირებები:		
ცვეთა	85,541	89,915
ამორტიზაცია	247,283	407,625
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	1,030,338	556,814
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	**3,594,889**	**9,263,570**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	725,265	(1,043,272)
ცვლილება მარაგებში	(73,616)	(22,904)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	(162,722)	1,123
ცვლილებები გადასახდელ წმინდა გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა	(163,721)	(122,840)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	176,486	(3,134,005)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(69,971)	(3,723)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**4,026,610**	**4,937,949**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(31,645)	(82,132)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,870)	(289,785)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(35,515)**	**(371,917)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდების გადახდა	(7,263,158)	(5,263,158)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	**(7,263,158)**	**(5,263,158)**
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**(3,272,063)**	**(697,126)**
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(806,037)	(540,271)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	11,387,487	12,624,884
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**7,309,387**	**11,387,487**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს “ალტა სოფთვეარი” დაფუძნდა 1998 წლის 25 ნოემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით 211380708. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ე.მაღალაშვილის ქ., №8. კომპანიის მეწილეები არიან: გრიგოლ ნიკოლაიშვილი (პ/ნ 01024009482) 40% წილი; ანდრია მანია (პ/ნ 01012017381) 10%; ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 01012018198) 10%; ირაკლი თუშიშვილი (პ/ნ 01024006225) 20%; ნიკოლოზ ფაჩუაშვილი (პ/ნ 60001036898) 10%; გიორგი ქალდანი (პ/ნ 20001000385) 10%.

შპს “ალტა სოფთვეარი”-ს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს კლიენტებისათვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფით მომსახურება. კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფას იყენებს ქართული კომერციული ბანკების უდიდესი ნაწილი. ასევე კომპანიამ 2007 წელს დანერგა სრულიად ახალი საბანკო პროგრამა, დეპოზიტებისა და სესხების მართვის სისტემები, ინტერნეტ ბანკი და გახდა Microsoft Certified Partner. კომპანიის მისიაა თანამედროვე, მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგებული, კომპლექსური სისტემების საქართველოში წარმოება და მათი გრძელვადიანი მხარდაჭერა-განვითარება.

კომპანიის ძირითადი პროდუქტებია:

B6 - წარმოადგენს მძლავრ პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები სწრაფად და შეუფერხებლად მოემსახურებიან კლიენტებს, ხოლო სისტემაში შეყვანილი მონაცემები ყოველთვის სრულყოფილი, ცენტრალიზებული და მარტივად ამოღებადი იქნება. B6 ფუნქციონალი მოიცავს კლიენტებს, ანგარიშებს, გადარიცხვებს, კონვერტაციებს სხვადასხვა კურსით, სალაროს, საბეჭდი ფორმების მართვას.
LOANWARE - სისტემა აღწერს ნებისმიერ სესხს, განვადებას, საკრედიტო ხაზს, მათთან დაკავშირებულ ბიზნეს პროცესსა თუ პროდუქტს. მომხმარებელი თავად განსაზღვრავს და მარტივად გაწერს მისთვის სასურველ პირობებს, სხვადასხვა თავისებურებას, ხოლო LOANWARE უზრუნველყოფს მოფიქრებული ბიზნეს ქეისის კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და სწორ მართვას.
JARVIS - 2014 წლიდან „ალტა სოფთვეარი“ მომხმარებლებს სთავაზობს მარეგულირებლის კომპლექსური და დინამიური მოთხოვნების განხორციელების მარტივ საშუალებას - ანგარიშგების სისტემას ფინანსური რეპორტების დაგენერირების, ანალიზისა და ინფორმაციის სხვადასხვა ჭრილში წარმოდგენისათვის.
MULTIONE - პლატფორმა მოიცავს როგორც ვებ, ისე მობილურ გადაწყვეტას ერთიანი ადმინისტრირების მოდულით. მომხმარებლებს შეგიძლიათ, მართონ, თუ რა პირობებითა და უსაფრთხოების მექანიზმით მისცემენ მომხმარებელს დისტანციური არხით სარგებლობის საშუალებას.
NOTIFLY - მომხმარებლებს შეუძლიათ, ინფორმაცია გაუგზავნოს მომხმარებელს მათ მიერ ჩატარებულ ოპერაციებზე, მიაწოდონ ერთჯერადი კოდები უსაფრთხოებისა და სხვადასხვა ქმედების დადასტურებისათვის, დაუკავშირდნენ ელექტრონული ფოსტით ან გამოიყენონ push მეთოდი.
CLOUDONsm - საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ, დაზოგონ პირველადი ინვესტირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარჯები. ამავე დროს, ისინი ისარგებლებენ ფირმის პროგრამული უზრუნველყოფის სრული ფუნქციონალით და მისი სპეციალისტების დახმარებით განავითარებენ თავიანთ ბიზნესს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 ინავრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;

- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	**31 დეკემბერი 2021**	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.0976	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	2.7020	3.5040	4.0233	3.2095

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები - 5%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%

– მანქანა-დანადგარები - 8%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ პროგრამული უზრუნველყოფას. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 5-30%.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.
გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს 29-ე განყოფილებაში არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისასთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა კომპიუტერული ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული ფინანსური აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების

აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი/მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები, კერძო დაზღვევა და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ბალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დარყდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 36,397 ლარის (2021 წ.: 24,187ლარი) ოდენობის უიმედო თანხების რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-7 შენიშვნა).

შესადარისი ინფორმაცია

წინა პერიოდის უზუსტობის გამოსწორების მიზნით გაკეთდა შედარებითი ინფორმაციის შედარება. ამ ცხრილში ნაჩვენებია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის მონაცემები, რომ შეჯამებული იქნას კორექტირებები, ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები.

შესადარისი ინფორმაცია	*წინა აუდიტის ანგარიშის მიხედვით*	*კორექტირება*	*საბოლოო*
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,070,513	(390,045)	1,680,468
გაცემული ავანსები	25,076	(22,955)	2,121
მარაგები	71,317	3,869	75,186
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,965	2,611	10,576
გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	351,177	1,096	352,273
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	15,047,093	(412,838)	14,634,255

5. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	სულ
საწყისი ღირებულება				
ბალანსი 31.12.2020	1,225,738	409,739	19,492	1,654,969
შემოსვლა	-	82,132	-	82,132
გასვლა	-	(1,368)	-	(1,368)
ბალანსი 31.12.2021	1,225,738	490,503	19,492	1,735,733
შემოსვლა	-	31,645	-	31,645
ბალანსი 31.12.2022	1,225,738	522,148	19,492	1,767,378
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება				
ბალანსი 31.12.2020	(323,576)	(255,373)	(7,685)	(586,634)
ცვეთა პერიოდისათვის	(45,108)	(43,543)	(945)	(89,596)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	1,049	-	1,049
ბალანსი 31.12.2021	(368,684)	(297,867)	(8,630)	(675,181)
ცვეთა პერიოდისათვის	(42,853)	(41,819)	(869)	(85,541)
ბალანსი 31.12.2022	(411,537)	(339,686)	(9,499)	(760,722)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 31.12.2020	**902,162**	**154,366**	**11,807**	**1,068,335**
ბალანსი 31.12.2021	**857,054**	**192,636**	**10,862**	**1,060,552**
ბალანსი 31.12.2022	**814,201**	**182,462**	**9,993**	**1,006,656**

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამურად
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2020	2,554,418	2,554,418
დანამატები	289,785	289,785
გასვლის შედეგად ელიმინირება	(15,726)	(15,726)
ბალანსი 31.12.2021	2,828,477	2,828,477
დანამატები	3,869	3,869
გასვლის შედეგად ელიმინირება	(421,907)	(421,907)
ბალანსი 31.12.2022	2,410,439	2,410,439
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2020	(1,107,039)	(1,107,039)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(407,625)	(407,625)
გასვლის შედეგად ელიმინირება	15,726	15,726
ბალანსი 31.12.2021	(1,498,938)	(1,498,938)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(247,283)	(247,283)
გასვლის შედეგად ელიმინირება	421,907	421,907
ბალანსი 31.12.2022	(1,324,314)	(1,324,314)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2020	**1,447,379**	**1,447,379**
ბალანსი 31.12.2021	**1,329,539**	**1,329,539**
ბალანსი 31.12.2022	**1,086,125**	**1,086,125**

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**2022 წლის 31 დეკემბერი**	**2021 წლის 31 დეკემბერი**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	831,249	1,691,515
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,817	13,140
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(36,397)	(24,187)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**801,669**	**1,680,468**

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**2022 წლის 31 დეკემბერი**	**2021 წლის 31 დეკემბერი**
ლარები საბანკო ანგარიშებზე	4,308,340	5,237,328
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3,001,047	6,150,159
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**7,309,387**	**11,387,487**

9. გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ერთიანი სახაზინო ანგარიში	27,912	192,698
დამატებითი ღირებულების გადასახადი	160,175	160,175
საშემოსავლო გადასახადი	773	(1,277)
ქონების გადასახადი	(308)	677
სულ გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	**188,552**	**352,273**

10. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი ყოველთვიური რეალიზაციიდან	6,021,383	5,826,916
შემოსავალი ერთჯერადი რეალიზაციიდან	3,847,978	9,358,027
სხვა შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	1,024,648	463,847
შემოსავალი ნულოვანი დაბეგვრით	-	22,078
სულ შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	**10,894,009**	**15,670,868**

11. თვითღირებულების ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯები	463,357	234,501
ლიცენზიებისა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის თვითღირებულების ხარჯები	106,512	227,338
სხვა თვითღირებულების ხარჯები	5,167	2,444
სულ თვითღირებულების ხარჯები	**575,036**	**464,283**

12. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
ხელფასის ხარჯები	5,376,701	4,994,830
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	332,824	497,222
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	138,065	104,827
საპენსიო ხარჯები	87,686	85,170
საკანცელარიო ხარჯები	44,548	10,142
საკონსულტაციო ხარჯები	27,512	29,318
კომუნალური ხარჯები	25,732	30,899
საგადასახადო ხარჯები	10,336	10,644
კომუნიკაციის ხარჯები	5,357	5,472
საბანკო მომსახურების ხარჯები	3,044	2,582
კომპიუტერის აქსესუარების შეძენის ხარჯები	1,220	8,095
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**6,053,025**	**5,779,201**

13. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2022 წელი	2021 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	157,170	5,283
აუდიტის კორექტირების ანგარიში	-	73,554
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	**157,170**	**78,837**

14. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
საქველმოქმედო ხარჯები	5,715	3,825
აუდიტის კორექტირების ანგარიში	22,186	25,641
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	**27,901**	**29,466**

15. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიის მნიშვნელოვანი ფიქსირებული აქტივები დაზღვეულია სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო

დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიის მნიშვნელოვანი ფიქსირებული აქტივები დაზღვეულია სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია მსს ფასს 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან
(ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2022	**შემოსავალი**	**შესყიდვები**	**ხელფასის ხარჯი**
შპს ალტა	-	6,883	-
ნათია თავართქილაძე	-	-	139,806
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	**-**	**6,883**	**139,806**

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2021	**შემოსავალი**	**შესყიდვები**	**ხელფასის ხარჯი**
შპს ალტა	-	4,984	-
ნათია თავართქილაძე	-	-	131,667
ირაკლი თუშიშვილი	305	-	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	**305**	**4,984**	**131,667**

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	**2022 წელი**	**2021 წელი**
უმაღლესი ხელმძღვანელობა	851,719	850,417
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	**851,719**	**850,417**

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:
- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 500,000 ლარი.

18. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი.

კომპანია 2020 წლის მარტიდან მუშაობს დისტანციურად, ძირითადი გამოწვევებია არასტაბილური ეკონომიკური ვითარება და ეფექტურობის/პროდუქტიულობის შემცირება დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, პროექტების დაგეგმვა, მცირე და საშუალო ზომის კლიენტების ფინანსური შეზღუდვები. თუმცა ფინანსური თვალსაზრისით შემოსავალი სტაბილურია და შემცირება არ არის მოსალოდნელი. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ზემოთ ხსენებული მოვლენა არ ახდენს ზეგავლენას კომპანიის ფუნქციონირებადობაზე. მენეჯმენტი იცავს ყველა რეგულაციას და აგრძელებს შეუფერხებლად მუშაობას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები “მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2022 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის 26 სექტემბრამდე კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა შპს „ალტა სოფთვეარი “-ს ფინანსური ანგარიშგებაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.

20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 26 სექტემბერს.

კომპანიის ზოგადი მიმოხილვა

შპს “ალტა სოფთვეარი“ (შემდგომში „კომპანია“) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია 1998 წლის 25 ნოემბერს (ს/კ 211380708, რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-1936). კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი დირექტორია გრიგოლ ნიკოლაიშვილი (ასევე კომპანიის 40 % წილის მფლობელი). კომპანიის მესაკუთრეები არიან:

მესაკუთრე	პ/ნ	წილი
გრიგოლ ნიკოლაიშვილი	01024009482	40%
ირაკლი თუშიშვილი	01024006225	20%
ანდრია მანია	01012017381	10%
ზურაბ ნონიაშვილი	01012018198	10%
ნიკოლოზ ფაჩუაშვილი	60001036898	10%
გიორგი ქალდანი	20001000385	10%

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქ. #8. აღნიშნული მისამართი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ადგილს და საკუთრებას.
კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, განვითარება, მხარდაჭერა, პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების გაყიდვა.
კომპანიის მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფაა:

1. ძირითადი საბანკო სისტემა - B6
2. სესხების მართვის სისტემა - Loanware/LMS
3. დეპოზიტების მართვის სისტემა
4. ინტერნეტ და მობაილ ბანკი
5. რეპორტინგის სისტემა
6. და სხვა.

კომპანიის კლიენტები არიან როგორც საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები, ასევე საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები.
კომპანია კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა მოწინავე მომსახურებას, როგორიცაა ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის იჯარა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით კომპლექსური გადაწყვეტების დანერგვა და მხარდაჭერა.
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ნიშნავს დირექტორებს, გუნდის უფროსებს.

კომპანიას ჰყავს ერთი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი დირექტორი და ორი დამხმარე დირექტორი (აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორის მოადგილე/საოპერაციო დირექტორი).
კომპანიაში შექმნილია ექვსი გუნდი - ამ გუნდებს ჰყავს უფროსი და კურატორი დირექტორებიდან. გარდა გუნდებისა, არსებობს კომპანიის საქმიანობის მიმართულებები, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან დირექტორებს (ადმინისტრაცია, კომპანიის ინფრასტრუქტურის მართვა).
2022 წლის ბოლოსთვის კომპანიას ჰყავს 79 თანამშრომელი, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლების რაოდენობა იყო 82. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლების რაოდენობა იყო 81, 2019 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით კი 77.
2020 წლის მარტიდან კოვიდ-19 დაკავშირებული პანდემიის გათვალისწინებით კომპანია მუშაობდა დისტანციურად. 2022 წლის მაისიდან, პანდემიის რეგულაციების გათვალისწინებით, კომპანიაში დაინერგა ჰიბრიდული მუშაობის რეჟიმი - თანამშრომლების ნაწილი მოდის ოფისში სურვილის მიხედვით. თანამშრომლების 50 %-ზე მეტი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც მუშაობს ოფისიდან.
კომპანია შემოსავალს იღებს შემდეგი ძირითადი წყაროებიდან:

1. პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების გაყიდვა-რეალიზაცია
2. პროგრამული უზრუნველყოფისა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის იჯარა
3. მხარდაჭერა და მომსახურება
4. ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებიდან მიღებული პროცენტი.

შემოსავალი არის ორი ტიპის: ერთჯერადი და ყოველთვიური. ყოველთვიური შემოსავლის ანალიზისა და კლიენტებთან მოქმედი ხელშეკრულებების მიხედვით ხორციელდება კომპანიის ყოველწლიური ხარჯების დამტკიცება და კორექტირება.
კომპანიაში 2022 საანგარიშგებო წლისთვის არსებობდა შემდეგი გუნდები/მიმართულებები:
1. ტექნიკური მიმართულება:

a. ძირითადი საბანკო სისტემის - B6 დეველოპმენტ გუნდი
b. სესხების მართვის სისტემის დეველოპმენტ გუნდი
c. ვებ და მობაილ დეველოპმენტ გუნდი
d. ახალი ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის B7 დეველოპმენტ გუნდი
e. „სკიდატას“ სისტემებისა და მოწყობილობების დანერგვის გუნდი

2. კლიენტებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის მიმართულება:

a. მხარდაჭერისა და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი
b. მცირე და საშუალო ბიზნესთან ურთიერთობის გუნდი
c. რეპორტინგისა და ბიზნეს ანალიტიკის გუნდი
d. პროექტების მართვა და სისტემის ანალიზის გუნდი

3. ადმინისტრაცია და ფინანსები

4. იურიდიული განყოფილება.

ტექნიკური მიმართულება პასუხისმგებელია კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და მომსახურების განხორციელებაზე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, განვითარებასა და დანერგვაზე.
კლიენტებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის მიმართულება ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების დოკუმენტირებას, კლიენტებთან კომუნიკაციას, სხვადასხვა კონსულტაციის გაწევას, პრეზენტაციების ჩატარებას.
ადმინისტრაცია და ფინანსები აერთიანებს ოფისის მართვას, კადრებს, ბუღალტერიას, შრომის უსაფრთხოებას, სხვადასხვა დამხმარე საქმიანობას.
იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს კომპანიის ხელშეკრულებების მომზადებას, არქივის წარმოებას, კომპანიის იურიდიული დოკუმენტაციის წარმოებას, კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას.

ტექნიკური მიმართულების შიგნით თითოეული გუნდი პასუხისმგებელია კონკრეტული ტექნოლოგიის ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, განვითარებასა და ტექნიკურ გამართულობაზე.
კლიენტებთან ურთიერთობის ნაწილში არის ორი ძირითადი განყოფილება:

a. მხარდაჭერისა და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი, ვინც ემსახურება კლიენტ ბანკებს, ახორციელებს საბანკო პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებას, დოკუმენტირებას, მხარდაჭერას, რეგრესიულ ტესტირებას;
b. მცირე და საშუალო ბიზნესთან ურთიერთობის გუნდი, ვინც ემსახურება არასაბანსკო დაწესებულებს;

რეპორტინგისა და ბიზნეს ანალიტიკის გუნდი აერთიანებს როგორც კლიენტების მომსახურებას, ასევე რეპორტინგის სისტემის - ჯარვისის ტექნიკურ განვითარებასა და მხარდაჭერას.
პროექტების მართვისა და სისტემის ანალიზის გუნდი მართავს კომპანიის პროექტებს, შემოსულ დაკვეთებებს, ახალ დავალებებს.
2022 საანგარიშო წლის პერიოდში კომპანიაში მიმდინარეობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი - „სკიდატას“ სისტემებისა და მოწყობილობების დანერგვა და გამართვა „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიასთვის“, „ლიბერთი ბანკისთვის“ სისტემების დანერგვის დასრულება, „ბაზის ბანკისთვის“ სხვადასხვა სისტემის დანერგვა, „რიკო ექსპრესთან“ ძირითადი სისტემების დანერგვისა და მიგრაციის პროექტი (რომელიც ჯერ არ დასრულებულა), „კრისტალთან“ დანერგვის პროექტის დასრულება.
სამწუხაროდ, 2022 წელს კომპანიის ერთ-ერთ კლიენტს - „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული სანქციების გათვალისწინებით შეექმნა პრობლემები, რის გამოც ბანკს მოუწია მნიშვნელოვანი პორტფელების გაყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლები ამ ბანკისგან მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მხარდაჭერის მომსახურება საჭიროა მინიმალური.

უკრაინაში რუსეთის აგრესიის გამო „ვითიბი ბანკის“ ოპერაციების მნიშვნელოვანი შემცირების გათვალისწინებით, 2022 წელს კომპანიის შემოსავლებში ბანკების წილმა დაიკლო, ხოლო „რიკო ექსპრესის“ პროექტის გათვალისწინებით მიკროსაფინანსო და სხვა არასაბანკო დაწესებულებიდან მიღებულმა თანხებმა მოიმატა. 2022 წლის მდგომარეობით, კომპანიის შემოსავლების 77 % მოდის ბანკებზე (აქედან ყველაზე მსხვილი კლიენტის, თიბისი ბანკის წილი არის 26 %), 11 % - არასაბანკო დაწესებულებებზე, ხოლო დარჩენილი ნაწილდება „სკიდატას“ პროექტებზე.

დასაქმება

კომპანიაში დასაქმებულია 79 ადამიანი. კომპანიას არ ჰყავს დროებითი თანამშრომლები.
დასაქმებულთა საშუალო ასაკია 36 წელი. დასაქმებულთა 40 % ქალია, ხოლო 60 % - მამაკაცი.
წლიური სახელფასო ხარჯი საანგარიშო პერიოდისთვის 4 მილიონ
ლარზე მეტია.
2022 საანგარიშგებო წელს კომპანია საკუთარი განცხადებით დატოვა 11 დასაქმებულმა და 2021 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირდა.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია ახორციელებს EBRD-თან თანამშრომლობით 18 თვიანი პროექტს
საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს
კომპანიის განვითარება, კონკურენტუნარიანობის ზრდა. პროექტის ფარგლებში კომპანიის შემოსავლიანობის გაუმჯობესების, საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარებისა და სხვადასხვა განვითარების ვარიანტების დეტალური განხილვა მიმდინარეობს.
კომპანია აქტიურად მონაწილეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით
ქვეყანაში დაარსებულ გაერთიანებებსა და საზოგადოებებში.
სამომავლოდ კომპანია გეგმავს პროგრამული უზრუნველყოფის რეინჟინერია-განვითარების გაგრძელებას, მომსახურების გაუმჯობესებას, არსებულ კლიენტებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

ძირითადი რისკები

2022 წელს შეინიშნება პანდემიის შემდგომი ბაზრების სტაბილიზება და პანდემიამდელ მდგომარეობამდე დაბრუნების ტენდენცია, თუმცა საქართველოსა და რეგიონში დიდი რისკისა და რყევების წყაროა რუსეთის აგრესიული ომი უკრაინაში.
კომპანია ცდილობს რისკების შემცირებას EBRD საერთაშორისო კონსულტაციების პროექტში მონაწილეობით, რომლის შედეგადაც გეგმავს გაუმჯობესებებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე არსებულ კლიენტებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და მეტი პროექტის მოზიდვას.
წინა წლებთან შედარებით კომპანიის შემოსავლები მეტად დაბალანსებულია, თუმცა კომპანია კვლავაც ცდილობს შემოსავლების დივერსიფიცირებასა და ინოვაციების შედეგად უკეთესი გადაწყვეტების შეთავაზებას.
კომპანია კვლავაც განიცდის ტექნიკური რესურსის სიმწირესა და მაღალი ანაზღაურების მოთხოვნას საქართველოს ბაზარზე. ხშირად საჭირო რაოდენობით კადრის მოძიება რთულია. კომპანია ცდილობს, ითანამშრომლოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან ამ მიმართულებით
და მოიზიდოს ახალგაზრდა კადრები.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები:

ინფორმაციის ტიპი	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები	11,245,475	16,391,027
ხარჯები	7,732,015	6,862,974
მოგება-ზარალი	9,608,699	14,640,130
მთლიანი აქტივები	10,351,523	15,487,637

შპს „ალტა სოფთვეარის“

დირექტორი

გრიგოლ ნიკოლაიშვილი

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები:

ინფორმაციის ტიპი	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები	11,245,475	16,391,027
ხარჯები	7,732,015	6,862,974
მოგება-ზარალი	9,608,699	14,640,130
მთლიანი აქტივები	10,351,523	15,487,637

შპს „ალტა სოფთვეარის“

დირექტორი

გრიგოლ ნიკოლაიშვილი